

კლიმატის ცვლილების გავლენა მეტეოროლოგიურ პარამეტრებზე ქალაქ თბილისის  
მაგალითზე

*გიორგი ხომასურიძე*

ელ.ფოსტა: khomagio@gmail.com

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი, ი. ჭავჭავაძის პრ. 3, თსუ II კორპუსი, 0128, თბილისი, საქართველო

ქალაქ თბილისის კლიმატის ფორმირებაზე მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას: მდებარეობა ზღვის დონიდან, ირგვლივ განლაგებული ქედების ექსპოზიცია, თბილისის ქვაბულის ტერასული აგებულება, ჰიდროქსელი, მცენარეული საფარი და სხვა.

ქალაქ თბილისში აღინიშნება აღმოსავლეთ საქართველოსთვის დამახასიათებელი კლიმატის ცვლილების ზოგადი ტენდენცია. ავტოტრანსპორტის გამონახოლქვით ჰაერის დაბინძურება, მწვანე საფარის მასიური გაჩეხვა და მათ ადგილას მრავალსართულიანი კორპუსების მშენებლობა, სტიქიური ნაგავსაყრელები და სხვა მავნე გავლენას ახდენს ქალაქის კლიმატზე.

კვლევისთვის გამოვიყენეთ მდინარე ვერეს ხეობაში არსებული ჰიდრომეტეოროლოგიური ლაბორატორიის მონაცემები. დაკვირვების მონაცემებით საშუალო წლიური ტემპერატურის (1965-2017 წწ) და ნალექების წლიური ჯამების (1966-2017) მსვლელობისას, წრფივი აპროექსიმიაციის ტრენდით აღინიშნა საშუალო წლიური ტემპერატურისა და ნალექების წლიური ჯამების ცვალებადობა: საშუალო ტემპერატურამ მოიმატა  $12.0^{\circ}\text{C} \pm 13.2^{\circ}\text{C}$ -მდე, ხოლო ნალექების წლიური ჯამებმა 480 მმ-დან 500 მმ-მდე. ე.ი. 50 წლის განმავლობაში საშუალო ტემპერატურამ მოიმატა  $1.2^{\circ}\text{C}$ -ით, ხოლო ნალექების წლიურმა ჯამებმა 20 მმ-ით.